ახალი ხარაგაული

365 (24) 8 ნოემბერი, 2017 წ

ნადაბურში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა

30 ოქტომბერს იმერეთის ვიცე - გუბერნატორმა, **გრიგოლ დალაქიშვილმა**, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **კობა ლურსმანაშვილმა**, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ**, მოადგილე არჩილ მაღრაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ, **მანანა ბარბაქაძემ** საზეიმო ვითარებაში ნადაბურში ახალი საბავშვო ბაღი გახსნეს. სოფელში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ წელს პირველად დაიწყო ფუნქციონირება და იგი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოეწყო და აღიჭურვა. ბაღი 25 აღსაზრდელზეა გათვალისწინებული და კადრები კვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტდა.

სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს მისულ აღსაზრდელებს ბაღის ადმინისტრაციამ სახალისო ღონისძიება მოუწყო. პატარების საზეიმო განწყობაზე ზღაპრის გმირებმა იზრუნეს. მათ ასევე საჩუქრები მიიღეს სტუმრებისაგან.

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა **კობა ლურსმანაშვილმა**, პედაგოგებსა და აღსაზრდელებს ბაღის გახსნა მიულოცა და განმარტა, რომ ნადაბურში საბავშვო ბაღის პრობლემა წლებია, არსებობდა და ამჟამად ეს საკითხი მოგვარებულია. „ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით სოფელში თანამედროვე სტანდარტებს მისადაგებული სკოლამდელი დაწესებულება აშენდა. ამდენი საბავშვო ბაღის აშენება ერთ-ერთი წინაპირობაა იმისა, რომ მუნიციპალიტეტი ვითარდება. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მმართველი პარტიის გუნდი ნამდვილად ზრუნავს იმისათვის, რომ მომავალ თაობას ღირსეული აწმყო შეუქმნას.“-აღნიშნა დეპუტატმა.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ თოფურიძე** და პატარებს ახალი სააღმზრდელო წლის დაწყება მიულოცა. თოფურიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების პრიორიტეტი სწორედ მომავალ თაობაზე ზრუნვაა. ,,მიხარია, რომ ეს ულამაზესი სოფელი ბავშვთა კონტინგენტის სიმრავლით გამოირჩევა. ვფიქრობ, არც ერთი მოზარდი საბავშვო ბაღის მიღმა არ უნდა დარჩეს და მისასალმებელია, რომ ნადაბურის პატარა აღსაზრდელებს ამის შესაძლებლობა უკვე აქვთ.“

საკრებულოს თავმჯდომარის, **მანანა ბარბაქაძის**, თქმით, ნადაბურის საბავშვო ბაღში ყველა პირობაა შექმნილი, რომ პატარები ღირსეულად, ყველა წესის დაცვით აღიზარდონ.

„ჩვენ ვაგრძელებთ სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობის ტენდენციას და ვიზრუნებთ იმაზე, რომ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებდეს

საბავშვო ბაღები. ღმერთმა გვიმრავლოს პატარები და მათზე ზრუნვასა და ენერგიას ნამდვილად არ დავიშურებთ.“ - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

გამგებლის წარმომადგენელი ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზურაბ შუბითიძე, მადლობას უხდის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს ნადაბურში ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისათვის. შუბითიძე მიიჩნევს, რომ სოფელში საბავშვო ბაღის ფუნქციონირება მიგრაციის შემცირებას შეუწყობს ხელს.

ბაღების გაერთიანების დირექტორის, მამუკა ჭიპაშვილის, ინფორმაციით, პირველ ეტაპზე ბაღში 18 აღსაზრდელი ირიცხება. მისივე თქმით, სოფელში მზარდი კონტინგენტია და აქ საბავშვო ბაღის ფუნქციონირების აუცილებლობა ნამდვილად არსებობდა.

შეგახსენებთ, რომ პროექტი ,,რეგიონული განვითარების ფონდიდან“ 174 444 ლარით დაფინანსდა. აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ბოლო სამი წლის განმავლობაში რვა ახალი საბავშვო ბაღი აშენდა, რამდენიმეს კი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. ამჟამად მუნიციპალიტეტში 17 სკოლამდელი დაწესებულება ფუნქციონირებს.

ხარაგაულში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა

30 ოქტომბერს იმერეთის ვიცე-გუბერნატორმა **გრიგოლ დალაქიშვილმა**, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა **კობა ლურსმანაშვილმა**, მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ნიკოლოზ თოფურიძემ**, მოადგილე არჩილ მაღრაძემ და საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძემ** მუნიციპალიტეტში დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები გახსნეს. პირველ ეტაპზე სტუმრებმა ბორითის ადმინისტრაციული ერთეული მოინახულეს, სადაც ორი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მაქათუბანში გზის 2 300მ-იან მონაკვეთს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, ვაშლევში კი - 900 მეტრს. საერთო ჯამში აღნიშნულ პროექტებზე 422 988 ლარი დაიხარჯა. გზის ეს მონაკვეთი ამ დრომდე მოუწესრიგებელი იყო, ახლა კი გადაადგილება ადგილობრივებისთვის უფრო კომფორტული გახდა.

შეხვედრაზე მაჟორიტარმა დეპუტატმა, **მანანა ბარბაქაძემ**, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ასეთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ნათელი მაგალითია იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიიწევს და ნელ-ნელა ძლიერდება. მისივე თქმით, მაქათუბნისა და ვაშლევის მოსახლეობამ მრავალწლიანი ოცნება აისრულა, რადგან გზები იმდენად დაზიანებული იყო, მასზე გადაადგილება დიდ სირთულეს წარმოადგენდა.

ამავე დღეს ახლად რეაბილიტირებული გზა გაიხსნა ხუნევისა და ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში. ვერტყვილაში გზის 1 000-მეტრიანი მონაკვეთი მობეტონდა, რისთვისაც 124 803 ლარი დაიხარჯა. რაც შეეხება წაქვას, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1.5 კმ გზას, რომლის ღირებულებაც 249097ლარს შეადგენს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროექტი „რეგიონული განვითარების ფონდიდან“ დაფინანსდა, მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა კი თანხის - 5%-ს შეადგენს.

ჯამში, 2017 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე სოფლებში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მილიონი ლარი დაიხარჯა.

შეგახსენებთ, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია ვანის, ჩხერის, ქვების, ვახანის, ლეღვნის, ჩრდილის, კიცხის, ღვერკის, ხემაღალის, ლახუნდარის, ლაშის, ხონისა და ლეღვან-მარელისის დამაკავშირებელ ცენტრალურ გზებზე.

180 000 ლარით დაფინანსდა ასევე დაბა ხარაგაულის ქუჩებისა და ჩიხების რეაბილიტაციის პროექტი, რომლის ფარგლებშიც ასევე გაიწმინდა რახიელას ღელე.

წელსვე ხარაგაულს ინფრასტრუქტურის სამინისტროს სტიქიის ფონდიდან 700 000 ლარი გამოეყო, რომლის ფარგლებშიც, ამჟამად, გაზაფხულზე მოსული უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული სახლებისა და გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ქიჩელა-ხარაგაული-ჟოლიოთი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის რეაბილიტაცია იწყება

2018 წელს ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია იწყება. ამის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, ავრცელებს. როგორც დეპუტატი აღნიშნავს, მომავალ წელს დაგეგმილია ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია, რისთვისაც 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 55000000 ორმოცდათხუთმეტი მილიონი) ლარია გათვალისწინებული.

,,მიმაჩნია, რომ აღნიშნული პროექტი შინაარსობრივად არ ნიშნავს მხოლოდ გზის რეაბილიტაციას, არამედ მისი განხორციელება ხელს შეუწყობს ხარაგაულის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ტურისტული პოტენციალის გაძლიერებასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.“-აცხადებს კობა ლურსმანაშვილი და აქვე აანონსებს, რომ მომავალ წელს ასევე სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზის შემდეგი მონაკვეთების რეკონსტრუქცია მოხდება:

ჩუმათელეთი-ხევი 55000000(ორმოცდათხუთმეტი მილიონი) ლარი; ხევი-უბისა 65000000 (სამოცდახუთი მილიონი) ლარი; უბისა-ძირულა 65000000 (სამოცდახუთი მილიონი) ლარი; ძირულა-არგვეთა 65000000 (სამოცდახუთი მილიონი) ლარი.

„შემოდგომა იმერეთში“

7 ნოემბერს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში (დირექტორი ნინო დიდიძე) მეტად შთამბეჭდავი ღონისძიება „შემოდგომა იმერეთში“ გაიმართა. შემოდგომასთან დაკავშირებული სიუხვისა და საქმიანობის ულამაზეს სამყაროდ იყო ქცეული მუზეუმის ეზო: დუღდებოდა თათარა, ივლებოდა ჩურჩხელა, თონეში ცხვებოდა უგემრიელესი ლავაშები. ამავე დღეს მოეწყო ღვინის დეგუსტაცია, რომელიც ხარაგაულში უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში იმართება და მისი მიზანი ქართული ღვინის პოპულარიზაციაა. ამჯერად სულ ცხრა სახეობის ღვინო იყო წარმოდგენილი. საბოლოოდ კი ორი გამარჯვებული გამოვლინდა, რომლებსაც ფასიანი საჩუქრები და სიგელები გადაეცათ.

საჩუქრები გადაეცათ ასევე პროექტ „უძველესი ტრადიციების“ მონაწილეებს. როგორც ნინო დიდიძე განმარტავს, ხარაგაულში არსებული „უძველესი ტრადიციების" გამოსავლენად კონკურსი ისტორიულმა მუზეუმმა თებერვლის თვეში გამოაცხადა და დღევანდელ ღონისძიებაზე საუკეთესო ნამუშევრები იქნა წარმოდგენილი.

სანახაობას ,,შემოდგომა იმერეთში“ ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველო სახლის წინამძღვარი მამა ანტონი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე, მოადგილე თემურ ჩხეიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ლიტველები სტუმრობდნენ

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსა და მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით, ხარაგაულს ლიტვის ქალაქ ტელშაის კულტურის სფეროს წარმომადგენლები სტუმრობდნენ. ვიზიტის ფარგლებში ლიტველებმა ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი დაათვალიერეს და კიცხის „ღვინის მარანი“ მოინახულეს, სადაც გაეცნენ ღვინის დაყენებას, ჩურჩხელების ამოვლებას და სხვა ქართულ ტრადიციებს. დელეგაცია პირადად შეხვდა - მუნიციპალიტეტის გამგებელ, **ნიკოლოზ თოფურიძესა** და მაჟორიტარ დეპუტატ **კობა ლურსმანაშვილს.** შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ხარაგაულსა და ლიტვის კედაის რეგიონის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტს შორის მომავალში მემორანდუმის გაფორმება იგეგმება, რაც სხვადასხვა სახის ურთიერთგაცვლით პროგრამებს ითვალისწინებს. ლიტველმა სტუმრებმა ხარაგაულის კულტურის ცენტრიც მოინახულეს, სადაც ნაციონალური სიმღერები შეასრულეს. თავის მხრივ, კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა „უბისმა“ ქართული ხალხური სიმღერები წარმოადგინა. შეხვედრა ქართველებისა და ლიტველების ერთობლივად შესრულებული სიმღერა - „სულიკოთი“ დასრულდა.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა კურორტი ნუნისი, მარელისის „ხერგილი“ და უბისის მონასტერი დაათვალიერეს. ტურიზმის ცენტრის დირექტორი, **ბერიკა თურმანიძე,** კმაყოფილია ლიტველების სტუმრობით და აღნიშნავს, რომ მათ მიერ შემოთავაზებული წინადადებებით, შესაძლებელია, ბევრმა ტურისტმა მოინახულოს მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობები.

„მსგავსი ტიპის ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის. ლიტველებს შეძლებისდაგვარად გავაცანით ქართული ტრადიციები. კმაყოფილი დარჩნენ ჩვენი სტუმართმოყვარეობით. ძალიან მოეწონათ ძველი კულტურული ძეგლები და ფოლკლორი.“-აღნიშნა **ბერიკა თურმანიძემ.**

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ინიციატივით ლიტველ სტუმრებს, მეგობრობის ნიშნად, სამადლობელი სიგელები გადაეცათ.

ლელა ბუბულაშვილი

სახალხო დღესასწაულს „ბაღდათობა 2017-ს“ ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ

საერთო-სახალხო დღესასწაულს „ბაღდათობა 2017-ს“ ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი **კობა ლურსმანაშვილი** და მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ თოფურიძე** დაესწრნენ. დღესასწაული ბაღდათის საკათედრო ტაძარში საზეიმო ლიტურგიით დაიწყო. ლიტურგიის შემდეგ მოწვეულმა სტუმრებმა დაათვალიერეს თავისუფლების მოედანზე მოწყობილი ეთნოკუთხეები, ინოვაციური ტექნოლოგიების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების ფონდის ორიგინალური გამოფენა, დაესწრნენ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტს, სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებას, აგრეთვე ადგილობრივი წარმოების პროდუქტებისა და ღვინის დეგუსტაციას.

სახალხო დღესასწაულზე ასევე იმყოფებოდნენ ვანისა და ბაღდათის **მიტროპოლიტი ანტონი,** იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორი **გივი ჭიჭინაძე,** პირველი მოადგილე **გრიგოლ დალაქიშვილი,** ვიცე–გუბერნატორი **იოსებ ხახალეიშვილი,** იმერეთის მუნიციპალიტეტის გამგებლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

,,ბაღდათობა 2017 – ის“ ფარგლებში, კულტურის ცენტრში საპატიო ბაღდათელების დაჯილდოების ცერემონია და კონცერტი გაიმართა, რომელშიც ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები მონაწილეობდნენ.

ეკა შავიძე

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა 2017 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს

6 ნოემბერს საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა 2017 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. საკითხი მათ საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **ვლადიმერ გელაშვილმა** გააცნო და აღნიშნა, რომ შემოსულობების გეგმა წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ 13 711,4 ათასი ლარით განისაზღვრა. ,,ცხრა თვის განმავლობაში ცამეტი საბიუჯეტო ცვლილება განხორციელდა და დამტკიცებული ბიუჯეტი 6 387,1 ათასი ლარი შემოსულობების ნაწილში 7 324,3 ათასი ლარით გაიზარდა. მუნიციპალიტეტმა საკუთარი შემოსულობების ცხრა თვის გეგმა 93,5 % -ით შეასრულა.“-აღნიშნა გელაშვილმა.

საკითხთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა და საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა ამავე კომისიის თავმჯდომარე **ვარლამ ჭიპაშვილმა.** მან აღნიშნა, რომ რელიგიის დაფინანსებაზე 30 ათასი ლარი გადაირიცხა, რაც მისასალმებელია. მან ასევე ისაუბრა კომისიის სხდომაზე წამოჭრილი რიგი პრობლემების შესახებ. საუბარი შეეხო გარე განათების ქსელის მოუწესრიგებლობას, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ბოლომდე აღმოუფხვრელობასა და საბიუჯეტო ორგანიზაციების სუბსიდირების საკითხებს. დეპუტატი შეეხო, ა(ა)იპ „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის“ დაფინანსების საკითხსაც და დასძინა, რომ ეს სამსახური თანაშრომელთა ხელფასების მატების ნაცვლად წარმატებული სპორტსმენების წახალისებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

დეპუტატმა ინგა მაღრაძემ ყურადღება ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობაზე“ გაამახვილა. მისივე თქმით, ავტომობილის შესაკეთებლად ა(ა)იპ-ს თანხა გადაერიცხა, თუმცა სპეცტექნიკა კვლავაც ამორტიზებული და გარე განათების ქსელი მოუწესრიგებელია.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **თორნიკე ავალიშვილმა** ა(ა)იპ - ების სუბსიდირების აუცილებლობაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებს არასაკმარისი თანხები წლის დასაწყისშივე მიეცათ.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, ვლადიმერ გელაშვილის, თქმით, ხარჯების შემცირება შემოსავლების სიმცირემ განაპირობა, თუმცა ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მიმდინარე წელს დაკისრებული ვალდებულებები სრულად შევასრულოთ. „ფინანსთა სამინისტროდან თანხები უკვე მოვიძიეთ და საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებთ.“ - განმარტა გელაშვილმა.

თამარ მაღრაძე

ხუნევში უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდა

24 ოქტომბერს ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ორგანიზებით უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდა. დიაგნოსტიკური კვლევები ათეულობით მოქალაქეს ხუნევის ამბულატორიაში ბერძნული სამედიცინო ფონდ „ჰიპოკრატეს“ ექიმებმა ჩაუტარეს.

სამსახურის უფროსის, ნანა კიკნაძის, ინფორმაციით, სკრინინგ პროგრამაში მამოგრაფიული გამოკვლევა (40-დან 70 წლის ჩათვლით), საშვილოსნოს ყელის პაპ-ტესტი (25-დან 60 წლის ჩათვლით) და საჭიროების შემთხვევაში კოლპოსკოპია შედიოდა. მისივე თქმით, აქცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და სამედიცინო კორპორაცია „ევექსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა.

აღსანიშნავია, რომ მსგავს სკრინინგს ა(ა)იპ „ჯანდაცვის ცენტრიც“ ახორციელებს და ბენეფიციარები გამოსაკვლევად ქუთაისში სამედიცინო კომპანია „ჰერაში“ მიჰყავთ.

ხიდარში დაწყებითი სკოლის ახალი კორპუსი აშენდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდარში დაწყებითი სკოლის ახალი კორპუსი აშენდება. როგორც სკოლის დირექტორი ეთერ პაპავა აღნიშნავს, პროექტის განხორციელებაში საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, დავით კიკნაძისა და ადგილობრივი თვითმმართველობის უდიდესი წვლილია. მისივე განმარტებით, დაწყებით სკოლაში სულ 17 მოსწავლეა, რომლებიც სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე ხიდრის საჯარო სკოლის მთავარ კორპუსში განაგრძობენ სწავლას და მათ სასკოლო ავტობუსი მოემსახურებათ. დაწყებითი სკოლის შენობა, რომელიც 90 წელზე მეტს ითვლის, საკმაოდ ავარიულ მდგომარეობაშია.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, დავით კიკნაძის, ინფორმაციით, პროექტის ღირებულება სავარაუდოდ 400 ათასი ლარია და ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „ელ ჯორჯიასთან“ ხელშეკრულება უახლოეს დღეებში გაფორმდება. მისივე თქმით, სამშენებლო სამუშაოები მიმდინარე წელს დაიწყება და მოხდება შენობის სრული დემონტაჟი. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოთხოვნით მშენებლობაზე ადგილობრივები დასაქმდებიან.

თამარ მაღრაძე

„იცრილოებს მარილის ცალი ვარსკვლავი „ხარაძე“

(აკადემიკოს ევგენი ხარაძის დაბადების 110 წლისთავი)

სრული ჭეშმარიტებით ხუმრობენ გონიერი ფარცხნალელები: „სასაფლაოსათვის აღარ გვჭირდება მიწის დიდი ფართობი, რადგან ჩვენი სოფლიდან ყოველ მეორეს პანთეონში ასაფლავებენ.“

დიახ, კანონიერად ამაყობს იმერეთის ამ კოპწია სოფლის ყოველი მკვიდრი, რომ მათი რვა თანასოფლელი დიდუბის პანთეონის უწმინდესი მიწის მარადიული ბინადარია. უფრო მეტიც, თვით ერთი ოჯახის- კირილე და მარინე ხარაძეების- აღზრდილი ორი დიდი მეცნიერის - ევგენი და არჩილ ხარაძეების- სამუდამო სავანე აქ, ამ ღვთითნაკურთხ მიწაზეა...

2001 წლის 14 ოქტომბერს ამ საგაზეთო წერილის ავტორი იმყოფებოდა იმ „ამაყ ჭირისუფალთა“ შორის, რომელმაც ციური სამყაროს სწორუპოვარი მკვლევარი დიდუბეში სამუდამო სავანემდე მიაცილა და ასევე სიამაყით მოისმინა თავისი უსაყვარლესი მოსწავლის ქალბატონ იზა ვეფხვაძის გამოსათხოვარი სიტყვა დიდი ევგენი ხარაძის ძვალთშესალაგის პირას:

(გთავაზობთ ამონარიდს)

„მსოფლიო ლიტერატურაში არსებობს ასეთი ფრაზა: „ჭირისუფლობით გაამაყებული,“ თუ შეიძლება, ჭირისუფლებაში სიამაყის მარცვალი ანათებდეს, თქვენი ჭირისუფლობით ჭეშმარიტად ამაყია ხარაგაულის საზოგადოება, ბატონო ევგენი!

სწორედ ხარაგაულის მიწამ შვა და აღზარდა თქვენი ბავშვობის ოცნებები, მახსენდება თქვენი სიტყვები: „ფარცხნალში, ჩვენი მამაპაპური, ისლით დახურული, სახლის სახურავზე ავდიოდით შებინდებისას მე და ჩემი ძმა არჩილი და ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას ვუჭვრეტდით. მაშინ ბავშვური ფანტაზიით ვარსკვლავური ზეცის საიდუმლოებების ახსნას ვცდილობდით.“

თქვენ ბავშვური ოცნება სინამდვილედ აქციეთ, ბატონო ევგენი, ვარსკვლავური ზეცის იდუმალებით, საოცარი სამყაროს ლაბირინთებში გაიკვლიეთ გზები და, მართლაც ზეცამდე ამაღლებული კაცი, ბოლომდე ბავშვივით თავმდაბალი, სათუთი და მოკრძალებული დარჩით.

ხარაგაულში დღესაც სიამაყითა და თან გაოცებით იხსენებენ, როგორც მიუყვებოდით მსუბუქი ზურგჩანთით რკინიგზის სადგურიდან ფარცხნალისაკენ მიმავალ აღმართიან ბილიკებს. არად აგდებდით მძღოლების თხოვნას - სამსახური გაეწიათ თქვენთვის, რადგან ერთხელ ისიც ბრძანეთ: „არ მინდოდა ამ სიამოვნების მოკლება, რასაც ჩემს მიწაზე დგომისას, მასზე მყარად შეხებისას, ვგრძნობდი და ის ტალახიც, რომელიც ფარცხნალის მიწაზე მედებოდა, ჩემთვის ყველაზე წმინდა ტალახი იყოო ამქვეყნად“...

და გამოსათხოვარი სიტყვის ბოლო ფრაზა:

„მინდა, თქვენი და ჩვენი თანამემამულის, თქვენი თანასოფლელის, დიდი რეზო თაბუკაშვილის სიტყვებით დაგილოცოთ იმქვეყნიური, მარადიული გზა-სავალი.“ ნათელში იყავ, საქართველოს დიდო მოამაგევ და ჭირისუფალო!“

***

აბასთუმანი, ყანობილის მთა, ასტროფიზიკური ობსერვატორია... ეს ხომ აკადემიკოს ევგენი ხარაძის სულის საუფლოა, მისი პირმშოა, რომლის „დავაჟკაცებასაც“ დიდმა მამულიშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია.

დღეს ობსერვატორია მისი დამაარსებლის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის, სახელს ატარებს.

2017 წლის 31 ოქტომბერი. დღეს დიდ მეცნიერს 110 წელი შეუსრულდა დაბადებიდან. სწორედ აქ, ობსერვატორიის კედლებში, გაიმართა დიდი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც აღნიშნულ ღირსსახსოვარ თარიღს მიეძღვნა. კონფერენციის მაღალ სტატუსზე მეტყველებს ის შემადგენლობა, რომელიც ჩართული იყო ამ დიდ სამეცნიერო თავყრილობაში: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, განათლების სამინისტრო, უცხოეთიდან მოწვეული სტუმრები, აკადემიკოსის მეგობრები, კოლეგები, ყოფილი სტუდენტები, ასპირანტები...

აკადემიკოს ევგენი ხარაძის მშობლიური რაიონიდან კონფერენციაზე მიწვეული იყვნენ: ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დირექტორი იზა ვეფხვაძე, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი ოთარ ლურსმანაშვილი.

ხარაგაულის საზოგადოების სახელით კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბატონმა კობა ლურსმანაშვილმა:

,,ძვირფასო საზოგადოებავ!

მოგესალმებით და მინდა, გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის, ბატონი ევგენი ხარაძის, დაბადების 110 წლისთავის ესოდენ მაღალ მეცნიერულ დონეზე აღნიშვნისათვის.

ჩვენ, ხარაგაულელები, ვამაყობთ, რომ ბატონი ევგენი ჩვენი თანამემამულეა, ჩვენი მიწის მკვიდრია...

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ბევრი რამ კეთდება დიდი მეცნიერის ხსოვნის უკვდავსაყოფად: ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლა ევგენი ხარაძის სახელს ატარებს, გვაქვს მისივე სახელობის სკვერი, აკადემიკოსის მშობლიურ სოფელ ფარცხნალში მობეტონდა მის მამაპაპეულ სახლამდე მისასვლელი გზა.

ჩვენი უმთავრესი მიზანი კი ისაა, რომ მომავალმა თაობამ სრულად გაითავისოს დიდი მეცნიერის სახელოვნად განვლილი გზა.

ვისურვებდი, რომ ამ დონის მეცნიერი კვლავ ბევრი აღზარდოს ჩვენმა ქვეყანამ.“

იზა ვეფხვაძე - რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დირექტორი: ,,ბედნიერი ვარ, რომ პირადად ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა ბატონ ევგენთან და მის საახლობლოსთან. ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის რეპერტუარშია სპექტაკლი ,,უცებ მოწყდება ვარსკვლავი“ . ამ საავტორო სპექტაკლზე მუშაობის დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რა მაღალი ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნება იყო დიდი მეცნიერი. მასთან საუბრით სულიერად მაღლდებოდი და სხვაგვარად ხედავდი სამყაროსაც და ადამიანებსაც.

გაგრძელება ▶ გვ 4.

„ხარაგაულდასუფთავება“ დამატებით 60 ათას ლარს მიიღებს

6 ნოემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა მორიგი საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს. ცვლილება საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **ვლადიმერ გელაშვილმა** წარადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“ ნოემბერ-დეკემბრის თვის ვალდებულებების დასაფარად დამატებით 111,3 ათასი ლარი ესაჭიროება. აქედან 81,2 ათასი ლარი ხელფასების გასაცემად და 30,3 ათასი ლარი საწვავის ხარჯებისათვის. ვლადიმერ გელაშვილის განმარტებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური რესურსიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე აღნიშნულ ა(ა)იპ-ს 60 ათასი ლარი გადაეცემა. 41 ათასი ლარი ნოემბრის თვის სახელფასო ანაზღაურებას მოხმარდება, დანარჩენი კი -საწვავის ხარჯებს.

„მოგეხსენებათ, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულების 5% ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიცემა. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ თანხის 2.5% მშენებელ კომპანიას პროექტის განხორციელებიდან გარანტიის სახით ორი წლის ვადაში უნდა ჩაერიცხოს. აქედან გამომდინარე, დაკავებული თანხების ხარჯზე მოხდება ,,ხარაგაულდასუფთავების“ სუბსიდირება,“ - განმარტა ვლადიმერ გელაშვილმა.

როგორც ,,ხარაგაულდასუფთავების“ დირექტორი **თემურ ფურცელაძე** განმარტავს, ხარჯის გაზრდა მომსახურების არეალის გაფართოებამ და საწვევის ხარჯის გაზრდამ გამოიწვია.

წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

თამარ მაღრაძე

ინსულტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა ლექცია-სემინარი ჩაატარა

30 ოქტომბერს ინსულტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ორგანიზებით ა(ა)იპ ,,კულტურის ცენტრის“ დარბაზში თემაზე „ინსულტი-თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა“ ლექცია -სემინარი გაიმართა. პრეზენტაცია იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწემ **ნანა ბერაძემ** წარმოადგინა, რომელსაც ა(ა)იპ ,,კულტურის ცენტრის“, ,,სათნოების სახლისა“ და ,,ხარაგაულდასუფთავების“ თანამშრომლები ესწრებოდნენ.

რა არის ინსულტის გამომწვევი რისკ-ფაქტორები, როგორ შეიძლება ავიცილოთ თავიდან და რა უნდა გავაკეთოთ ინსულტის ნიშნების გამოვლენისას - ეს ის თემებია, რომლებზეც შეკრებილ საზოგადოებას ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის თანამშრომელი ესაუბრა. შეხვედრა საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა, აქტიურად ჩაერთნენ მსმენელები და მათ მიერ დასმულ ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გაეცა.

„ინსულტი მიჩნეულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად, ვინაიდან რიგით მესამე ადგილზეა სიკვდილიანობის გამომწვევ დაავადებათა შორის. არც თუ დიდი ხნის წინ, ინსულტი ხანდაზმულთა დაავადებად იყო მიჩნეული, მაგრამ ამჟამად, უფრო ხშირად, 20-30 წლის ადამიანებს ემართებათ.“ -აღნიშნა პრეზენტატორმა.

მისივე განმარტებით, ინსულტის პროფილაქტიკისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება ჯანსაღი და დაბალანსებული კვებაა. მან ასევე ხაზგასმით ისაუბრა ინსულტის მკურნალობის შესახებ, რომელიც მოიცავს სისხლძარღვოვან თერაპიას და იმ პრეპარატების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ტვინში მეტაბოლიზური პროცესების გაუმჯობესებას, ჟანგბადის თერაპიას.

შეგახსენებთ, რომ 29 ოქტომბერს ინსულტის ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება. მსოფლიოში ყოველწლიურად ამ დაავადების 15 მილიონამდე ახალი შემთხვევა ვლინდება და წუთში საშუალოდ ერთი ადამიანი იღუპება. აღნიშნული კამპანიის ძირითადი მიზანიც სწორედ ადამიანების ცნობიერების ამაღლებაა, იმის შესახებ თუ როგორ უნდა გაუწიონ დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება.

ლელა გუგულაშვილი

„იტრიალებს მარადის ცალი ვარსკვლავი „ხარაძე“

დასაწყისი ▶3 გვ.

(აკადემიკოს ევგენი ხარაძის დაბადების 110 წლისთავი)

უკვდავება მის წმინდა სახელს და მადლობა თქვენ, დიდო სწავლულებო, ევგენი ხარაძის ნიჭისა და ღვაწლის დამფასებლებო!“

***

როცა აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახელს ვახსენებთ, გამორჩეული სიამაყის გრძნობა გვეუფლება ყველა ხარაგაულელს. ალბათ, ასეთი გრძნობა არასდროს სტოვებდა ხარაგაულის აწ განსვენებულ ღირსეულ მოქალაქეს, უამრავი თაობის გზამკვლევს, კარგ პოეტსა და კარგი ოჯახის მესაჭეს, ბატონ გივი გოგოლაძეს, რომელმაც სწორედ აკადემიკოსის გარდაცვალების სამგლოვიარო დღეებში შექმნა ძალზე შთამბეჭდავი ლექსი, რომლის სტრიქონებშიც სრულყოფილად დასურათდა დიდი მეცნიერის პიროვნული და საზოგადოებრივი ღვაწლი.

საჭიროდ მიმაჩნია, მკითხველს ერთხელ კიდევ შევახსენო მთლიანობაში აღნიშნული პოეტური სულის გამონაშუქი:

ITრიალებს მარადის

(ევგენი ხარაძის ხსოვნას)

წილნაყარი ზეცასთან
დაიხარჯე მისხლობით...
ჰაი, ჟამიც დამდგარა
ხარკის მარადისობის.
მანამდე კი ცარგვალის
სრბოლით იყავ გართული,
ზე ასტყორცნე სახელი
აზროვნების ქართულის.
შორეულ კვაზარებში,
თუ მიწიერ ედემში,
უწინ შენი მამულის
ბედის ვარსკვლავს ეძებდი.
ზეცა არ გიუცხოებს,
გალაქტიკებს თან ახლდი,
ღვთიურ ორბიტაზე კი
სამუდამოდ დასახლდი.
დროის დაუნდობლობავ,
სრბოლის გზა ვერ ჩარაზე,
იტრიალებს მარადის
ცად ვარსკვლავი, „ხარაძე.“

მერი გიორგიძე

კონკურსში „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია-2018'' ხარაგაულის საჯარო სკოლები აქტიურობენ

გუნდის ხელმძღვანელი თეა ტალახაძე კლუბის წევრებთან ერთად

კავკასიის გარემოსდაცვითმა არასამთავრობო ორგანიზაციამ (CENN) და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ საჯარო და კერძო სკოლებისთვის 2017 წლის აპრილში დაიწყო კონკურსი ,,ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია-2018“. პროექტის მხარდამჭერია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. კონკურსის პირველი ტური 2018 წლის თებერვლამდე გაგრძელდება და 21 მარტს, ტყეების დაცვის საერთაშორისო დღეს, დასრულდება. ეს არის უნიკალური შანსი სკოლებისთვის, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, წარმოაჩინონ საკუთარი თავი, დაგეგმონ და განახორციელონ „მწვანე აქტივობები“ და ამგვარად შეიტანონ გარემოსდაცვითი კომპონენტები საგანმანათლებლო სივრცეში. კონკურსზე რეგისტრაცია მთელი საქართველოს მასშტაბით 600 -ზე მეტმა სკოლამ გაიარა და მხოლოდ 300-მდე სკოლამ შეძლო ქულების დაგროვება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან ამ ეტაპზე 8 სკოლა აქტიურობს: ბაზალეთი, კიცხი, ბორი, მარელისი, ლელვანი, ზვარე, ვაშლევი, საღანძილე.

პროექტის ფარგლებში თითოეული სკოლა ახორციელებს გარემოსდაცვით აქტივობებს: რგავენ ნერგებს, ასუფთავებენ უკანონო ნაგავსაყრელებს, გადიან ტურისტულ მარშრუტებს, თანამშრომლობენ თემთან და ახორციელებენ უამრავ პროექტს. ბაზალეთის სკოლა გასულ წელს კონკურსის ფინალისტი გახლდათ და მან „მწვანე სკოლის“ წოდება და მწვანე დროშა მოიპოვა. წელს კი, მეორე შუალედური მონაცემებით, მეთერთმეტე ადგილს იკავებს. სკოლის ეკოკლუბის ხელმძღვანელი აქტიური და ყველასათვის საყვარელი მასწავლებელი, თეა ტალახაძე, გახლავთ, რომელმაც ძალიან დიდი შრომა ჩადო ამ კონკურსის მიმდინარეობაში და კლუბის წევრებთან ერთად საკმაოდ ნაყოფიერი გზა განვლო: ,,ეს არის კონკურსი, სადაც არ არსებობს დამარცხებული და თითოეული აქტივობა მაღალი ქულითაა შეფასებული. იზრდება მოსწავლეთა ცნობიერება გარემოსდაცვითი მიმართულებით და მაღლდება პასუხისმგებლობის გრძნობა. ბავშვები ეცნობიან ახალ ტურისტულ მარშრუტებს, მოგზაურობენ, იკვლევენ, აგროვებენ მაკულატურას, წერენ შთაბეჭდილებებს და იმატებენ ქულებს. მე ვფიქრობ, ,,ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია“ ყველაზე მრავალფეროვანი, დახვეწილი, საინტერესო პროექტია. ოქტომბრის თვეში რამდენიმე სკოლასთან ერთად ვიყავით ქობულეთში, მოვიარეთ საქართველოს დაცული ტერიტორიები, გავიარეთ ნიკო კეცხოველის განვლილი გზა და მეოცე საუკუნის დასაწყისში აღწერილ მოგზაურობას შევადარეთ ჩვენი შთაბეჭდილებები.“ - აღნიშნავს ჩვენთან საუბარში ქალბატონი თეა, რომლის სურვილია, ხარაგაულიდან პროექტში, რაც შეიძლება, მეტი სკოლა ჩაერთოს.

შარშანდელმა ფინალისტმა, ბაზალეთის საჯარო სკოლამ, მიმდინარე წელს პრიზად ბულაჩაურის მწვანე ბანაკში დასვენებაც დაიმსახურა. ამავე სკოლის მოსწავლე კესო ჩხიკვაძე აღნიშნულ ბანაკში 10 დღით იმყოფებოდა.

,,ცალკე ჯგუფი იყო მასწავლებლების საქართველოს ყველა კუთხიდან. ბულაჩაურის დღეები იყო საუკეთესო ჩვენი ეკოკლუბის ისტორიაში. იქ არ არის კონკურენციის შეგრძნება. პროექტში ყველა მეგობარია, ვცვლიდით იდეებს, ვგეგმავდით ერთობლივ აქტივობებს, ვატარებდით თავისუფალ გაკვეთილებს არაფორმალურ გარემოში, დავმეგობრდით და დღესაც ვაგრძელებთ ურთიერთობას.“- ასე იხსენებს თეა ტალახაძე ბულაჩაურში გატარებულ დღეებს.

ქალბატონი თეა მადლობას უხდის იმერეთის კოორდინატორ მაია კეზევაძეს, რომელმაც აღნიშნული პროექტის შესახებ ამცნო და აღნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ მსგავსი კონკურსები ხშირად ჩატარდება.

აღსანიშნავია, რომ 12 ნოემბერს ბაზალეთის სკოლის ეკოკლუბი მეგობარ სკოლებთან ერთად ჭიათურის მღვიმეების დასალაშქრად მიემგზავრება. ასევე, ახალი ტურისტული მარშრუტის მარკირების მიზნით, ხარაგაულის ტურიზმის ცენტრთან ერთად ლაშქრობას გეგმავს ვახანის ციხეზე.

წარმატებებს ვუსურვებთ ყველა სკოლას ამ საინტერესო კონკურსში!

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულელი მოჭიდაველების მორიგი წარმატება

27-29 ოქტომბერს ქალაქ ონში დავით გობეჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ,,ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის“ მოჭიდაველებმა ევსემ შველიძემ და დავით გელაშვილმა.

ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში ევსემ შველიძემ 74 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო დავით გელაშვილს 50 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი ხვდა წილად (მწვრთნელი რევაზ შერგელაშვილი).

წარმატებით ასპარეზობისათვის ევსემ შველიძემ აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ დავით გობეჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან წარმოდგენილი მოჭიდაველები, ასევე, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდები.

ლახუნდარაში მცხოვრები ელენა არჯევანიძე 101 წლის გახდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახუნდარაში მცხოვრებ ელენა არჯევანიძეს 101 წელი შეუსრულდა. იუბილე უხუცეს ქალბატონს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა, ნანა კიკნაძემ, და ამავე სამსახურის სოციალური განყოფილების უფროსმა, ალექსანდრე ტაბატაძემ, მიულოცეს. სტუმრებმა იუბილარს საჩუქრები გადასცეს და მას ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვეს.

ელენა არჯევანიძე სოფელ ლახუნდარაში თავისი მეუღლის კერაზე ცხოვრობს. მეუღლე, ირაკლი არჯევანიძე, დიდ სამამულო ომში დაიკარგა. 28 წლის ასაკიდან ოჯახსა და მცირეწლოვან ქალიშვილს მარტო უვლიდა. 101 წლის ქალბატონს ერთი შვილი, ორი შვილიშვილი, ოთხი შვილთაშვილი და ერთი შვილთაშვილიშვილი ჰყავს.

იუბილესთან დაკავშირებით ელენა არჯევანიძეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან 500 ლარი ჩაერიცხება.

„კახორმა“ კიდევ ერთი ღამაზი სალამო აჩუქა ხარაგაულელებს

3 ნოემბერს ხარაგაულის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,კახორი“ (ლოტბარი ალეკო მიქელაძე) განახლებული რეპერტუარით წარდგა ხარაგაულელი მსმენელის წინაშე. ანსამბლის პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანია. იმერული ,,სახუმარო“, ,,ნადური,“ ,,მგზავრული“, იმერული ,,ჭონა“, გურული ,,მასპინძელსა“, ,,მოკლე კალოს ხელხვავი“, აფხაზური ,, დაჭრილის სიმღერა“, კახური ,,მრავალჟამიერი“- ეს იმ სიმღერების მოკლე ჩამონათვალია, რომელთა მაღალ დონეზე შესრულებით ანსამბლის წევრები უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენენ მსმენელზე. კონცერტში ასევე მონაწილეობა მიიღო ჰოლანდიელმა სტუმარმა, რომელმაც გიტარის თანხლებით რამდენიმე ქართული საესტრადო სიმღერა შეასრულა და დარბაზის გულწრფელი აპლოდისმენტებიც დაიმსახურა.

შეგახსენებთ, რომ ანსამბლი „კახორი“ ხარაგაულელი ახალგაზრდებისგან 2012 წელს ჩამოყალიბდა. ჯგუფში შემავალი ბიჭების უმეტესობა ბავშვობიდან ერთად მღერის. „კახორმა“, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ არაერთი წარმატებული კონცერტი ჩაატარა. ანსამბლი მრავალი საპრიზო ადგილისა და გრანპრის მფლობელია. უახლოეს პერიოდში იგეგმება ანსამბლის გასტროლი რუსეთში.

წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს საამაყო ხარაგაულელებს!

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12